№ 62

კვირა, 17 მარტი 1896

1877—1896

# ივერია

№ 62

კვირა, 17 მარტი 1896

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, № ...

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227

თამბაქოს ფაბრიკა ნ. ი. ბოზარჯიანცისა

არსებობს 1858 წლიდგან.

ფირმა ღირს იქმნა უმაღლესის ჯილდოს მიღებისა.

ტელეფ. ფაბრიკისა № 100. რეკლამა არ გეგონოთ. ტელეფ. მაღაზ. № 181.

ძვირფასი გარეგნობა ღირსებასა ჰვნებს.

ცოდვად მიმაჩნია რა, რომ თამბაქოს შესახვევებსა და სილამაზეზე ვხარჯო ფული და ეს ფული თამბაქოს მხმარებელთ გარდავახდევინო, უფრო სამჯობინად ვსთვლი თამბაქოს ღირსება გავაუკეთესო, ვიდრე მისი გარეგნობა. გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ჩვენს საქონელს: იმათი ღირსება მრავალი წელიწადია და ახლაც კონკურენციის გარეშეა, დამსახურებული აქვთ ყურადღება თავისის საუკეთესო ღირსებით და თუ ეს ღირსება აქვთ, მხოლოდ იმიტომ, რომ გარეგნობაზედ ფულის ხარჯვას ვერიდებით. ბ-ნთ თამბაქოს მხმარებელთ ვთხოვ გასინჯონ და დარწმუნდნენ.

1896 წლის 1 იანვრიდგან ჩემს ფაბრიკაში მომზადდა შემდეგი საქონელი:

| პაპიროსები | პაპიროსები | თამბაქო: |
|---|---|---|
| მიხაკის ფერ ფრანგულ გამოცდილ ქაღალდისა № 5 „ექსტრი". 25 ცალი 15 კაპ., 100 ცალი 60 კაპ. 25 ც. 25 კა., 100 ც. 1 მან. | თეთრის ქაღალდისა № 36, „სამხრეთისა" 10 ცალი 3 კ. | კავკასიისა 48 კაპ. 3 მანათამდე; ნამდვილი ოსმალური თუნუქის კოლოფებში 4 მან. 12 მანეთამდე. განსაკუთრებული თამბაქო ოსმალეთის თესლისა, გირ. 1 მ. 52 კ. |

ისყიდება ყველგან. სხვა ქალაქებიდგან შემოკვეთილს სინიდისიერად ვასრულებთ.

მაქვს პატივი ფაბრიკის პატრონი ბოზარჯიანცი.

ძვირფასი გარეგნობა ღირსებასა ჰვნებს.

ძვირფასი გარეგნობა ღირსებასა ჰვნებს. (5—)5

**კაბინეტი კბილის ექიმთა** ვ. ი. ჭიჭინაძისა და ქ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79. ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

**სასულიერო მთავრობის ნება-რთვით შესდგა კომიტეტი განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელზე აკადემიაში სტიპენდიის (ერთის ან ორის) დაარსებისათვის კერძო შეწირულებათა საჭირო**

**ფონდის შესაკრებლად.** კომიტეტი მოიწვევს ყოველთა, რომელთაც არა ხოლო სიტყვით, არამედ საქმითაც სურთ დაამტკიცონ,—რომ მათ გულში ცხოველ არს ხსოვნა და პატივისცემა ამ დაუვიწყარი მოძღვართ-მოძღვრისადმი, შემოიტანონ თავისი წვლილი ამ წმიდა საქმისათვის. შემოწირულებათა რაოდენობა შემომწირველთა სიითურთ გამოცხადებულ იქნება თავ-თავის დროზე ადგილობრივ გაზეთებში. შემოწირულებანი უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: კომიტეტის თავმჯდომარეს ქუთაისის სემინარიის რექტორს არხიმანდრიტს დიმიტრის.

თავმჯდომარის მაგიერ კომიტეტის წევრი დეკანოზი გ. ცაგარეიშვილი.

**ერევნის ატმის ხეები** სრულიად ახალი საუკეთესო ხარისხისა **მიღებულია** პეტროს მალაზიაში, გოლოვინის პროსპექტზე «ტფილისის კრუჟოკის» შენობაში და სარაჯიშვილის ქარვასლაში სომხეთა ბაზარზე. (4—1)

## ზამთრისაგან დაზარალებულთა დახმარება *)

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ტფილისში დაარსდა კომიტეტი, რომელსაც მიზნადა აქვს წყალ-დიდობისაგან დაზარალებულთ, ქუთაისის და ტფილისის გუბერნიაში, მატერიალური შემწეობა აღმოუჩინოს. კომიტეტის წევრნი დავალებულნი არიან ფული აგროვონ ზემო-აღნიშნულ აზრისთვის. რაღა თქმა უნდა, რომ მათი წადილი სისრულეში მოვა; ამისი თავდებია ჯერ თვით საგანი, რომლისთვისაც ფული გროვდება და მერე ის პირნი, ყველასაგან პატივცემულნი და სანდონნი, რომელნიც ადგენენ ცენტრალურ კომიტეტს. ამ რიგად პირველი ნაბიჯი დაზარალებულ ხალხის საშველად, წადგმულია, მაგრამ ამითი არ თავდება საზოგადოების ვალი დაზარალებულთადმი. ფულის შეგროვება ძნელია, მაგრამ უფრო ძნელი და პასუხის საგები ამ ფულის ხერხიანად დარიგება არის.

*) ეს წერილი მივიღეთ სწორეთ იმ დროს, როდესაც გუშინდელი მოწინავე წერილი უკვე იბეჭდებოდა.

რედ.

და აი ამ უძნელეს ფუნქციით აღსასრულებლად, ჩვენის აზრით, ერთობ საჭიროა ტფილისში არსებულ ცენტრალურ კომიტეტს გარდა, სხვა ორგანიზაციაც, რომელიც სოფელთან, დაზარალებულთან უფრო ახლო იდგება, ვიდრე ქალაქებში დაარსებულნი კომიტეტები.

ამ შემთხვევაში ჩვენ სწორედ ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც იქცეოდენ რუსეთში შიმშილობის დროს და ჩვენში ხოლერობას. ამიტომ მეტი არ იქნება გავიხსენიოთ უმთავრესი მხარენი მაშინდელის მოქმედებისა.

სულ პირველად ოფიციალური მხა[რ]ე გამორიცხული უნდა იყოს ფულის დარიგების დროს, ე. ი. ადმინისტრაციის და მოხელეების შემწეობის გარეშე უნდა მოხდეს. ამისი მიზეზი მრავალია და ერთი მათგანი ის არის, რომ ადმინისტრაცია ისედაც მძიმეთ არის დატვირთული საქმეებითა. უახლოვესი ტვირთი ფულის დარიგებისა და ცენტრალურ კომიტეტის თანაშემწეობისა ადგილობრივმა საზოგადოებამ უნდა მიიღოს. ამისთვის დაზარალებულ ალაგებში კომიტეტები უნდა შესდგეს, რომელიც შეატყობინებს ცენტრალურ კომიტეტს—სად რამდენი უნდა დაიხარჯოს საერთო თანხიდგან. ამ რიგად, საქმის კარგად დაყენება ამ ადგილობრივ კომიტეტებზედ ჰკიდია: თუ ამ კომიტეტების წევრობას იკისრებენ ისეთნი პირნი, რომელნიც ყველასაგან პატივცემულნი, სანდონნი და ნამდვილად გულის შემატკივარნი არიან დაზარალებულთა, მაშინ ხომ საქმე სასურველ მსვლელობას მიიღებს და ცენტრალურ კომიტეტის შრომაც არ ჩაივლის უნაყოფოდ. მაგრამ თუ სხვა გვარის და ჯურის ხალხი შეხვდება ადგილობრივ კომიტეტებს, ყველასათვის ცხადია, რა სახესაც მიიღებს „შემწეობის აღმოჩენა". ამიტომაც, ჩვენის აზრით, ამ ჟამად ტფილისის კომიტეტის უმთავრეს წადილად ის უნდა გახდეს, რომ ადგილობრივი კომიტეტები სასურველ დონეზედ იყვნენ დაყენებულნი. მართალია, ამნაირად საქმის წარმართვამ იქნება ცოტა დააგვიანოს ფულის დარიგება, მაგრამ ამას არავინ უნდა შეუშინდეს, რადგან აჩქარებით მოქმედება ამისთანა საქმეში, როგორიც დაცემულ სოფლებისა და ხეობათა ფეხზედ წამოყენება არის, არც ივარგებს და არც შესაძლებელია. უნდა გვახსოვდეს, რომ რაც უნდა ბლომა ფული შეგროვდეს, იგი გაცილებით ნაკლები იქნება იმ გაჭირვებაზედ, რომელიც კარს მოსდგომია საქართველოს სოფლებს. ამიტომაც არის საჭირო ფრთხილი და აუჩქარებელი ხარჯვა ფულისა; წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილად შესაძლებელია, რომ შემწეობას ვერ მივაწოდებთ ვერავის...

მაგრამ, როგორ უნდა შესდგეს ადგილობრივი კომიტეტები და ვინ უნდა შეადგინოს? აი, აქ უნდა დახ[ა]მარება ჩვენის ინტელიგენციისა. ხოლერობის დროს ამ ინტელიგენცი[ამ] დიდი სამსახური გაუწია სამშობლოს ქვეყანას. იმედია, ეხლაც ისე მოიქცევა. ინტელიგენციამ, ე. ი. საზოგადო საქმის მზრუნველებმა, უნდა იკისროს დაგვიხატონ უტყუარი სურათი ზარალისა, მან უნდა აღნუსხოს თვითოეული სოფელი, გამოიანგარიშოს გაჭირვება და საგანი ყოველ მხრივ ასწონ-დასწონოს. ამისათვის იქნება გეგმის შედგენაც იყოს

# ფელეტონი

## მასლაათი

„სააშიკოდ, სალაღობოდ,
ამხანაგთა სართველად".
რუსთაველი.

მე სრულიადაც არ მეგონა, თუ ჩემი მასლაათი „მოამბის" სალიტერატურო მიმოხილვის გამო ასეთს ალიაქოთსა და დავი-დარაბას ასტეხდა. დაიბეჭდა თუ არა ეს ბედ-შავი ქმნილება, მაშინვე სიცოცხლე გამიმწარეს. ისე ფეხი ვერსად გადავდგი, რომ წინ რომელიმე დიაკონი არ შემყროდა და საყვედურით არ დავერჩე—როგორ გაბედე და „მოამბის" ქრისტეს მიერ ძმანი მედავითნე სასაცილოდ აიგდეო. პატიოსანს სიტყვას გეფიცებით, რომ ერთი მოძღვარი რედაქციაშიაც კი შემამეჭრა, ჯერ რისხვა და წყრომა გამიცხადა და მერე ქადაგება დამიწყო მოყვასის სიყვარულსა და სიბრალულზედ. მეტადრე დიდად აღელვებული იყო, ბ-ნი გრ. ყიფშიძე სალაღობო მოედანზედ რად გამოიყვანეო,—აგერ მალე ორი ათეული შესრულდება, რაც ეს მხნე მუშაკი ლიტერატურას ემსახურება და წელებზედ ფეხს იდგამს და შენ-კი, გუშინდელმა მეფელეტონემ, შეუბრალებლად გაშოლტეო... ქრისტიანული სიყვარული და სიბრალული იქონიეთ, ხომ ხედავ—მარხვა სინანულისააო. შემდეგ გადაიწერა პირჯვარი და ლაღად ჰყო—ჰე უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, მომანიჭე მე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვა ძმისა ჩემისაო!.. პატივცემულს მოძღვარს—ისიც ლიტერატორია—ვუპასუხე, რომ «მოამბის» მედავითნეთ სიყვარულიც მაქვს და სიბრალულიცა, მაგრამ სალიტერატურო მოღვაწეობა მკაცრი ბრძოლაა და ძმობის ქადაგება აქ არაფერ შუაშია-მეთქი. როგორაო?—ისრე, რომ ლიტერატურა, ჰეინეს თქმისა არ იყვეს, ამერიკის ველურ ხალხების ტყეს მიაგავს, სადაც შვილები დედ მამებსა სვლეპენ და სჭამენ-მეთქი... მოძღვარმა განაგრძო ბაასი ისევ გრ. ყიფშიძის სალიტერატურო ზრდაზედ და აღნიშნა, თუ როდის დაიბადა ეს ლიტერატორი, რომელს ათეულს ეკუთვნის მისი მოღვაწეობა და იმით დააბოლოვა, რომ ჩვენ საიუბილეო ნადიმს ვუმზადებთ და შენ-კი ჩვენი ლიტერატურის გოლიათი გაგვიქონდრისკაცე, გაგვილილიპუტე და თანაც ამბობ,—ლიტერატურული ბრძოლა ერთი-ერთმანეთის ჭამა და სვლეპააო... მოძღვარმა ღრმად ამოიოხრა, ერთი კიდევ მოიგონა გრ. ყიფშიძე, მერე ხელ-მეორედ ლაღად ჰყო—ხოლო სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა მიმადლე მონათა შენთა „მოამბისთაო—და გავიდა რედაქციიდამ. მე სახტად დავრჩი!..

დიაღ, „მოამბის" ქრისტეს მიერ ძმათა და მლაღადებელთა ბევრი ქომაგი და მომხრე გამოუჩნდათ... მედავითნედამ დაწყებული ვიდრე მღვდლამდე და მონოზნამდე!.. მე კი სხვაფრივ მეგონა და ლაღად გავინავარდე. კიდევ მადლობა ღმერთსა, რომ უხიფათოდ გადავრჩი. ამიერიდ გან მე დავითნე ლიტერატურაზედ ფრთხილად ვიმასლაათებ. მაგრამ ეგ სალმუნთა მგალობელნი აღარ მისვენებენ—რა შენი საქმეა ლიტერატორობა, ლატაკი ხარ ჰკუის შემოქმედებითის ძალითაო, ათასჯერ ნაღეჭ და ნაცოხნარს თუთიყუშივით იმეორებ, უვიცი ბჭანდები და ბრძნად თავი მოგაქვსო, უაზროდ და უსაგნოდ ლაყბობ და ტაკი-მასხარაობო და სხვა ამისთანები... ღმერთო მიხსენ და მიფარე ამგვარ ცოდვათაგან და აწ მაინც მეოხ მეყავ მცირესა და კნინსა მონასა შენსა! ჰე უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა და მიმომწველილველობისასა, მთავრობის მოყვარეობისასა და ცუდად მეტყველებისასა ნუ მიმცემ მე!...

მაგრამ სანამდე საქმეს შევუდგებოდე, ისევ ძველი ამბავი მოკლედ მაინც უნდა გავიმეორო. ბ-ნ გრ. ყიფშიძემ „მოამბის" პირველ ნომერში აღბეჭდა „ზრდა ჩვენის ლიტერატურისა". ვიდრე კაცი გაიზრდებოდეს, ჯერ ხომ უნდა დაიბადოს. ხოლო დაბადების აღსანიშნავად ხომ დროა საჭირო და ამ დროს კიდევ, ქორონიკონის სახით, ხომ მეტრიკაში უნდა ჩაწერა. გრ. ყიფშიძეც ამ სადიაკვნო და საეკკლესიო წესს დაადგა,—მთელი ჩვენი ახალი ლიტერატურა აიღო და ათეულებად გაჰყო, მერე თავი მოუყარა ლიტერატორებს და თვითეულის სახელი დაბადების წიგნში მოაქცია: ესა და ეს ამ ათეულს ეკუთვნის და ეს კიდევ ამასაო. ამით დააბოლოვა სალიტერატურო ზრდის თეორია. როცა ამ თეორიას თვალი გადავავლე, სიცილი და ხარხარი ამიტყდა. მართლაც-და, ახლა ვინ არ იცის, რომ ლიტერატურის გაჩენა და ზრდა დიაკონთა სამეტრიკო ცოდილობა არ არის? ამას გარდა, ლიტერატურის ათეულებად განყოფა, სულ ცოტა, სამასხარაო ვარჯიშობაა. ამ ათეულებს რომ მივყვეთ, ყოვლად შეუძლებელი იქმნებოდა სალიტერატურო ზრდის განმარტება. აბა აიღეთ ეს ათეულთა თეორია და განმარტეთ აი თუნდა თამარ მეფის დროის სალიტერატურო ზრდა... არა თუ ათეული, ასეული და ორასეული ეპოქა და „პერიოდიც" უარ-ყოფილია აწინდელ მეცნიერებაში და ერთი სახელოვანი ლიტერატორი დაცინვით ამბობს—გონებისა და აზრის მოძრაობა გზატკეცილი არ არის, რომ „სტანციები" და სადგურები ჩამოურიგონ და ბოძებზედ წარწერით აღნიშნონ—აქედამ აქამდე ამოდენი მანძილიაო, იდეათა და საზნეო მოძღვრებათა მიმდინარეობა ფოსტის ცხენების სირბილი როდიაო. გრ. ყიფშიძის აზრი ჩვენც სასაცილოდ ავიგდეთ და

საჭირო, არც ამან უნდა შეაფერხოს ვინმე. რაკი საგანი ამ რიგად იქნება ყოველ მხრივ შემუშავებული, მაშინ გაადვილდება ფულის დარიგებაც და ცენტრალურ კომიტეტის შრომაც დაფასდება. ჩვენის აზრით, თვით ამ კომიტეტმა რომ აირჩიოს რამდენიმე შეგნებული ახალგაზრდა ინტილიგენტთა შორის და დაავალოს მათ მიიარ-მოიარონ მთელი ის კუთხე, სადაც დაზარალდა ხალხი, ესეც კარგი იქნება. რუსეთში შიმშილობის დროს, ამნაირი ტვირთი დიდის თავ-დაჯებით იკისრა ინტელიგენციამ, ქალმა თუ კაცმა, გამოჩენილმა მწერლებმა, არისტოკრატიამაც-კი და მათმა შრომამ საუკეთესო ნაყოფი მოიტანა.

დღეს, როდესაც საქართველოს შიმშილობაზედ უარესი უბედურება დაემართა, სრული იმედი გვაქვს, რომ გამოჩნდებიან ისეთნი პირნი, რომელნიც არა ნაკლებ ჴთავ გამოდებით იკისრებენ, ჩვენს ხალხს კარზედ მომდგარი უბედურება გაუადვილონ და მალამო დასდონ მისს წყლულსა.

—ლი—გ.

# ახალი ამბავი

*** ამ დღეებში ბათუმში გარდაცვალებულს დ. ი. ბიკოვს, როგორც „ჩერნ. ვესტ.“-ი იუწყება, თავისს ცოლისთვის დაუტოვებია მთელი თავისი ქონება იმ პირობით, რომ სიკვდილს შემდეგ მთელი ქონება საერო განათლების სამინისტროს გარდაეცეს სტიპენდიების დასაარსებლად მოსკოვში, ოდესაში და ქუთაისში.

*** 15 მარტს დასრულდა პამპალოვის ქალის მოტაცების საქმის გარჩევა. საღამოთი სასამართლომ შემდეგი განაჩენი გამოაცხადა:

1) თავადნი ტუსიშვილი, ბარათაშვილი, ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი და გედევანიშვილი და გლეხნი ბიძინაშვილი, ვარდიშვილი და აბრამაშვილი დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი ეკატერინე და ელისაბედ პამპალოვების წინააღმდეგ ძალის ხმარებაში; 2) თავადი ტუსიშვილი დამნაშავედ იქმნა ცნობილი იმაში, რომ დასჭრა კობიაშვილი, ბუჩაშვილი და ხეოშვილი; 3) გლეხი პავლე ბიძინაშვილი დამნაშავედ იქმნა ცნობილი იმაში, რომ ჰსურდა მოეკლა გლეხი ბუჩაშვილი; ამისათვის გარდაწყვეტილ იქმნა თავადი ტუსიშვილი დაპატიმრებულ აქმნას 1 წლითა და 4 თვით და ზოგიერთი უფლებები ჩამოერთვას, თავადნი ანდრონიკაშვილი, ბარათაშვილი, ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი, გედევანიშვილი და ვარდიშვილი 3 თვით იქმნან დაპატიმრებულნი, ხოლო გლეხი ბიძინაშვილი, ყოველივე უფლებების ჩამორთმევის შემდეგ, „არესტანტსკია როტა.“-ში იქმნას გაგზავნილი $3^1/_2$ წლით. იმ დრომდე, ვიდრე განაჩენი ძალში შევიდოდეს, თავადი ტუსიშვილი შეიძლება თავდებობით იქმნას გამოშვებული, ხოლო დანარჩენნი, გარდა ბიძინაშვილისა, პოლიციას გარდაეცნენ თვალ-ყურის სადევნებლად; ბიძინაშვილს არ ეძლევა უფლება გამოშვებულ იქმნას.

*** სამეურნეო და სახელმწიფო ქონენათა სამინისტროს მოწერილობით ამ უწყების მოხელეთა ნახევარი ჯამაგირი ოქროს ფულად მიეცემათ.

*** როგორც ხმა ისმის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო საბჭოში წარდგენილი პროექტი იმის შესახებ, რომ გუბერნატორებსა და ვიცეგუბერნატორებს ჯამაგირები მოემატოთ, მაისში გარდაწყდებაო, სწერს „ნოვ. ვრემია».

*** ამ დღეებში, როგორც გაზეთები იუწყებიან, ფინანსთა მინისტრი ს. იუ. ვიტტესთან გუბერნიების წინამძღოლებს ბჭობა ჰქონიათ თავად-აზნაურთა მამულის მფლობელობაზე («ნოვ. ვრ.»).

*** 11 მარტისათვის რკინის გზათა დეპარტამენტში დანიშნულია ბჭობა, რომელსაც აზრად აქვს გამორკვეულ იქმნას როგორც პირობები წვრილ ფეხა საქონლის გადაყვან-გადმოყვანისა რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში, აგრეთვე ის საშუალებანი, რომელთაც რკინის გზით საქონლის გადაყვან-გადმოყვანის საქმის შემსუბუქება შეუძლიანთ. თავმჯდომარეობა ამ რჩევაზედ მინდობილი აქვს ვიცე-დირექტორს დეპარტამენტისას გ. ს. იავუბოვს.

*** სოფლის მეურნეთა სრულიად რუსეთის კრებამ, რომელიც მოსკოვში შესდგა, მოსკოვის სამეურნეო საზოგადოებას მიჰმართა თურმე და შუამდგომლობს ისეთი დაწესებულება იქმნას დაარსებული, რომელსაც შეეძლოს დაეხმაროს ყველას, ვინც-კი სოფლის ნაწარმოებით ვაჭრობს, ან ამზადებს ასეთს ნაწარმოებს; ე. ი. თავისი რჩევა და დარიგება მისცეს, როდესაც მიჰმართავენ, რომ ნაწარმოები დროზე ვერ გადააქვთ-გადმოაქვთ რკინის გზით, აბანდებენ გზაში, ტარიფს შეცდომით შეაწერენ ხოლმე, საქონელი ზიანდება გზაში და სხვ. ამ ჟამად საზოგადოებასთან დაარსებულ იქმნა კომისია, რომელსაც თავმჯდომარედ ჰყავს თავ. შჩერბატოვი და ცხრამეტი სხვა წევრი სოფლის მეურნეთა, სხვა-და-სხვა მრეწველთა, ფაბრიკანტთა და ვაჭართაგან. კომისიამ უკვე დაიწყო მოქმედება. როგორც გაზ. „მოსკ. ვედ.“-ი სწერს, კომისიისაგან საჭირო რჩევას მიიღებს ყველა, ვინც-კი წლიურად ხუთს მანეთს შეიტანს; ამასთან სავაჭრო ბიულეტენებს უფასოდ მიიღებენ. ბიულეტენებში მოხსენებული იქმნება ხორბლეულობის ფასები, ფასები საქონელსა, ფრინველსა და მაგარ სასმელებზედ და სხვ. („ნოვ. ვრ.“)

## კორესპონდენცია.

ს. ალი, 10 მარტი. ორის ვერსის მანძილზედ ჩვენის სოფლიდამ, აღმოსავლეთით, მდებარეობს ს. ქანძათი. ეს სოფელი გაშენებულია ერთს პატარა მთის ფერდობზედ და შეიცავს 30-ამდე კომლს. აი ამ სოფელს, ისედაც მცირედს მკომურთა რიცხვით, ამ დღეებში ერთი უბედურება ეწვია.

შემოდგომის წვიმებით გაჟღენთილს დედა-მიწას ჯერ შირი ვერ შეეშრალებინა, რომ ზედ დაერთო წრეს-გარდასული თოვლი.

ამგვარად მოსულს თოვლს ქვეშ წყალი ჰქონდა, რომელიც დაგუბდა და დაალბო ისედაც ფხვიერი ნიადაგი. ამგვარად დამბალმა მიწამ ვეღარ გაუძლო თავისს სიმძიმეს, მირს დაიწია და დასკდა. აი ამ მიზეზის გამო ერთის კვირის წინად დაინგრა ერთი სახლი და ექვსი თუ შვიდი დაზიანდა. ადამიანი არავინ უმსხვერპლია, რადგანაც დღისით მოხდა და ყველამ მოასწრო გარეთ გამოსვლა. ზოგმა მათგანმა მაშინვე მიატოვა დაზიანებული სახლი და მეზობელს შეეხიზნა. უმეტესმა ნაწილმა-კი ხელ-ახლად მონახა თავისი საყვარელი ბინა და კვლავინდებურად შიგ სცხოვრობს. თოვლი დღითი-დღე დნება და დედამიწას სისველე ემატება. მოსალოდნელია, რომ მიწა ხელ-ახლად დასკდეს და დაინგრეს არა მარტო დაზიანებული შენობები, არამედ თვით საღი სახლებიც.

ამისათვის საჭიროა სოფლის მმართველობამ ეხლავე დაატლევინოს პატრონებს როგორც დაზიანებული სახლები, აგრეთვე საღი ქვითკირის შენობანიც, რადგანაც ეს უკანასკნელნი ამასთანა შემთხვევაში უფრო ადვილად და შეუმჩნევლად ინგრევიან, ვიდრე ხის სახლები.

ალის სკოლის მასწავლებელი ალექსანდრე ციცაგიშვილი.

## სიტყვა თქმული გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავებაზე გელათის ტაძარში.

დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა სტირის და გლოვობს ჩვენი ბრწყინვალე ვარსკვლავის ჩასვენებას—შენს მოშორებას; სტირის დიდი და პატარა, სტირის თავადი და გლეხი, მდიდარი და გლახაკი, მეცნიერი და უმეცარი — სტირის სულ ყველა და მიზეზიც აქვთ ტირილისა; მაგრამ ამ საერთო ტირილში უფრო მწარე ტირილი და გლოვა გვმართებს ჩვენ, შენი სოფლის შვილებს, შენს ბახველებს. ჩვენს საწყალს სოფელს არგუნა ღმერთმა ამ 70 წლის წინად ბედნიერება მით, რომ იგი აირჩია შენს სამშობლო კუთხეთ. ჩვენს სოფელში გაახილე შენ პირველად ბედნიერი და მადლიანი თვალები. პირველად შენ ჩვენი სოფლის ცას შეხედე, ამ სოფელში გაატარე პირველი დღენი შენის პატარაობისა; აქ გაგიბრწყინდა გულში პირველად ნაპერწკალი სიმართლისა, სათნოებისა და სიყვარულისა. ამ ნაპერწკალმა აქ დაიწყო პირველად ზრდა და შემდეგში შეიქნა დიდ ბრწყინვალე ვარსკვლავად, რომელიც გახდა მთელი ჩვენი ქვეყნის მანათობელი. მაგრამ პირველი სხივები ამ დიდი ვარსკვლავისა მაინც ჩვენს სოფელს მოხვდა და გაათბო იგი. პირველად აქედგან დაიწყო შენი კაცთ მოყვარეობითი ზრუნვა, საზოგადოთ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის და განსაკუთრებით შენი სოფლისათვის. ჯერ კიდევ სასწავლებელში იყავი, როდესაც დაიწყე ზრუნვა ამ სოფელზე მით, რომ გააცნე პირველად შენს ნათესავებს სწავლის სიკეთე და დღეს გურიის ვერც ერთი სოფელი ვერ მოსთვლის იმდენ უმაღლეს-სწავლა-დასრულებულს შვილებს, რამდენიცა გვყავს ბახველებს შენის წყალობით საქართველოს ყოველ კუთხეში. ამ პირველ შენს სიკეთეს ჩვენს სოფელზე მოჰყვა მრავალი საზოგადო სიკეთე, რომელთა შორის აქ დავასახელებ მხოლოდ უმთავრესს მათგანს.

ამ ოცდა ხუთი წლის წინად შენი სოფელი იყო ერთი უნაყოფო ღარიბ სოფელთაგანი გურიაში. მას არც რიგიანი ეკკლესია ჰქონდა, არც სკოლა და სახმარ-წყალსაც-კი თითქმის მოკლებული იყო. დღეს-კი შენის წყალობით ჩვენი სოფელი ყოველის მხრით დაწინაურებულ სოფლად ითვლება ჩვენში: მას აქვს შენი საკუთარი ხარჯით აგებული ჩინებული ტაძარი, აქვს ორ-კლასიანი სასწავლებელი ვრცელი ბაღითურთ, რომელიც სამუდამოდ უზრუნველ ყოფილია შენის წყალობით და რომელშიაც არა თუ მარტო ბახვის ახალ თაობა იღებს პირველ დაწყებითი სწავლასა,—მთელი გურიის სხვა-და-სხვა სოფლის შვილებიც-კი იზრდებიან. შენისავე უხვი შეწირულებით დაარსებულია ჩვენში სასოფლო გამსესხებელ-შემ-

---

გაკვრით, ორიოდე სიტყვით საორგანო თეორიის ან-ბანი მივაწოდეთ. ბ-ნი ავტორი თავისს ათეულებში ბევრს საგანს შეეხო და, სხვათა შორის, საიდგანღაც გამოაპრანჭა, რომ მამულის შვილობის აღორძინებამ და ისტორიის შესწავლამ ზარალი მოუტანა ჩვენს მწერლობასა, ხოლო უკანასკნელ ათეულთა ბელეტრისტებმა სულ ახალი კვალი გაავლეს ქართულ ლიტერატურასაო. ესეც, რასაკვირველია, სალაღობოდ ავიღეთ და სამასლაათოდ გავიხადეთ. ეს იყო და ეს!..

გრ. ყიფშიძეს ცეცხლად მოსდებია ჩემი მასლაათი და დიდად განრისხებულა. იმის საყვედურსა და წყრომას დასასრული არა აქვს,—ჩემი შემუსვრა და დამცირება მოუნდომნია პლებსსაო, ვითომ გრ. ყიფშიძე ისეთი ლიტერატორი იყვეს, რომ იმის დამხობა და დამარცხება ვისმე სახელს მოუპოვებდეს, ვაჟკაცობაში ჩაეთვლებოდეს და თავზედ დაფნის გვირგვინს დაადგამდეს!.. მაგრამ საყურადღებო უფრო ის არის, რომ ბ-ნი ყიფშიძე სალიტერატურო ზრდილობას გვიწუნებს და იმავე დროს კი ცილსა გვწამებს—პლებსს ჩემი პირადი მტრობა და ჯავრი სჭირს და იმიტომ გამოილაშქრაო. ბ-ნ გრიგოლს რომ მართლა სალიტერატურო ზრდილობისა ესმოდეს რამე, მაშინ ხომ ამ ოსტატობასა და სხვის სულსა და გულში ხელების ფათურს არ იკადრებდა. უზრდელობა და უწმინდურება სწორედ ეგ ოსტატობა და ხელების ფათურია. დიაღ, ქრისტეს მიერ ძმანო „მოამბისანო“, ერთი შვიდთაგანი მამაკვდინებელი სალიტერატურო ცოდვა ისიც არის, როცა მეტოქის სულსა და გულში იხედებით და იქ რაღაც ფარულსა და მიუწდომელს განზრახვას ეძებთ, თითქო ლიტერატორი კათაკმეველი იყვეს და თქვენ წინაშე აღსარების საიდუმლოს აღიარებდეს!.. სალიტერატურო ზნეობა საეკკლესიო კატეხიზმოს მოძღვრებად მიგაჩნიათ და ის-კი გწყინთ, როცა ამის გამო დიაკვნებად გიხსენიებენ...

დიაღ, პირადმა მტრობამა და მძულვარებამ აამხედრა ჩვენ წინააღმდეგო. როცა გერმანელი სისულელეს წამოროშავს, თავს იმით მართლულობს, რომ ეს სისულელე ირონიაი, დაცინვით მომივიდაო... ჩვენში სხვაფრივ იციან—სისულელე რომ შეამჩნიოს ვისმე, საკუთარს ცოდვას შენ მოგახვევს თავზედ. გრ. ყიფშიძეც ეგრე იქცევა: აბა თუ პირადი შური და ჯავრი არა, ჩემს ქმნილებაზედ ცუდს სხვა რა ათქმევინებდა პლებსსაო. მაგრამ თუ მიზეზი გნებავთ, აი მოგახსენებთ. ჩვენც ვიცით, რომ გრ. ყიფშიძე გვარიანი მუშაკია და ლიტერატურის სალაროში თავისი წვლილი შეაქვს. იგი კარგი კორექტორია, მარდად ასწორებს ხელთნაწერებს, საფუძვლიანად იცის ქართული და მშვენიერი მთარგმნელია. სხვა მოღვაწე ამ ღირსებასაც იკმარებდა და თავისს ქერქში დადგებოდა, მაგრამ—არ ვიცით, რამიზეზისა გამო—გრიგოლ ფშიძეს ყიგანდიდების ქავილი აქვს ატეხილი, საფილოსოფიო საგნებს ეპოტინება, მაღალ ფარდებში ფრენას ეტრფიალება. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ამისათვის ხომ მარტო ქართულის ცოდნა და მთარგმნელობა არა კმარა. სავალალოც ის არის, რომ ეს მცირე მოღვაწე თავისს ხვედრს არა სჯერდება და თითონვე სასაცილოდ იხდის საქმესა. სწორედ ასე სასაცილოდ დაიწყო გრ. ყიფშიძემ სალიტერატურო მოღვაწეობა,—აილო და პირდაპირ ნავარდობას მოჰყვა სალიტერატურო ზეცაში, სწორედ იქ, სადაც უზენაესის აზრის სამფლობელოა. იქნება თქვენც გახსოვდეთ, რომ მისი სადებიუტო ქმნილება გახლდათ ევროპიულ მეცნიერების უარ-ყოფა და „სამშობლო სტიქიონების“ დამყარება. მეტად ულმობელად გაცოცხეს და „გაჩოთქეს“ ახლად მოვლენილი არა-მკითხე ფილოსოფოსი. ჟურნალ «ივერიის» კრიტიკოსმა (1882 წ. №№ IV, V, გვ. 162—9) თითქმის მიწასთან გაასწორა ბ-ნი გრ. ყიფშიძე და ესეთი ანდერძი აუგო: „რა უნდა ეკითხოს იმ კაცს, რომელსაც რიგიანად არა უსწავლია-რა, არა გამოუკვლევია-რა, რომელსაც ხეპრული ანდაზები და მეცნიერული ჭეშმარიტებანი ერთმანეთში დომხალივით აურევიაო“!.. «ბ-ნ ყიფშიძეს რომ ევროპიული მეცნიერება შეესწავლა, ვრცელი ფილოსოფოსური განვითარება მიეღო, მართლა რომ ესმოდეს მათი უდიდესი სარგებლობა და აუცილებელი საჭიროება, მაშინ ხომ, რასაკვირველია, ამას არ წამოსცდებოდაო...“ (შემდეგ მოყვანილია უმეცრების ნიმუშები). იმ დროიდგან დაწყებული აქამომდე გრ. ყიფშიძეს განდიდების ქავილი არ მოჰკლებია, თუმცა კი იმის განვითარებას და სწავლას არაფერი შეჰმატებია. არა ერთხელ და ორჯელ გაუშოლტავთ ბ-ნი გრიგოლი ამ ქავილისათვის, მაგრამ იმას თავისი არ დაუშლია. არც ხომ ამ ბოლო დროს დაიშალა და მიზეზიც ეს იყო, რომ ჩვენც „ძალად-ფილოსოფოსი“ სამასლაათოდ გამოვიყვანეთ. აბა ახლა სულის ქვეშ სთქვით, დიაკონნო „მოამბისანო“, რა შუაშია აქ პირადი მტრობა?!....

სანუგეშოა, რომ ჩემს მასლაათს გრ. ყიფშიძისათვის, ცოტად მაინც, ფილოსოფოსობის ქავილი გაუნელებია—„პატარას, მცირესა და სუსტს კი არ შეუძლიან... ორიოდე ქვა და აგური მიიტანოს იქ, საცა დიდებული და წმინდა ტაძარი შენდებაო?“—როგორ არა,—ამ პატარას, მცირესა და სუსტს ისიც შეუძლიან, რომ თავზედ თაბახი დაიდგას და აზელილი კირი და ქვიშა ზიდოს, მაგრამ კალატოზობისა და ხუროთ-მოძღვრების ნებას-კი არ მისცემენ, რადგანაც ამისთვის საჭიროა ხელოსნობის ცოდნა და უსტაბაშის დალოცვა. ხოლო საკამათოდ შეიქმნა ის გარემოება, რომ ქვისა და აგურის

ნახველი ამხანაგობა, რომელიც აგერ თექვსმეტი წელიწადია ხელს გვიწყობს და თავიდგან გვაშორებს უდიერ სარგებლის გადახდას; შენისავე შემწეობით მოირწყო და განაყოფიერდა ჩვენი უწყლო და მწირი ადგილები. ერთის სიტყვით, შენ იყავი, მოწყალეო ბატონო, ულეველი წყარო ჩვენი კეთილ-დღეობისა.

მაგრამ ყველა ეს წყალობა რა არის იმ ზნეობით გავლენასთან, იმ სულიერ საზრდოსთან, რომელიც ჩვენ შენგან გვეძლეოდა!! შენი მობრძანება ჩვენში ბრწყინვალე დღესასწაული იყო ჩვენთვის. ჩვენ, შენი ბახველები, სწორედ იმ სახით წარმოვიდგენთ ქვეყნად მყოფ მაცხოვარს, რა სახითაც შენ გხედავდით ჩვენ წინ მდგომარეს საქადაგებლად გამოსულს ჩვენი ეკკლესიის გალავანში ცაცხვის ქვეშ სახე გაბრწყინვებულს, მადლითა და სიყვარულით სავსეს; შენი ანგელოსებრივი სახე, შენი ცხოველს მყოფელი სწავლა-დარიგება ამოუშლელად იბეჭდებოდა ამ დროს ჩვენს გულში; შენი სიტყვების მადლი და სათნოება გვავიწყებდა ყოველს ქვეყნიურს ჭირსა და ბოროტებას; შენი სიახლოვე გვითბობდა სულს, გვიპატიოსნებდა გულს, რის გამოც ყოველი უბედური, ყოველი დამწუხრებული ჩვენი სოფლისანი შენთან მოეშურებოდა ნუგეშის მისაღებად, და ამიტომაც იყო, რომ შენ ჩვენში ერთი საათიც მოსვენებაც არ გქონდა. მუდამ გარს გეხვეოდით და ვსარგებლობდით შენის ანგელოსებრივი გულ-კეთილობითა, შენი თავ-მდაბლობითა, შენი კაცთ მოყვარეობითა! ვაი, თუ ჩვენს გარდაც სხვანიც ასე გაწუხებდენ, ჩვენო ძვირფასო ბატონო, და ამით თვითონ ჩვენ გავხდით მიზეზი ჩვენისავე უბედურებისა, თვითონ ჩვენ მოგისწრაფეთ დაუფასებელი სიცოცხლე! თუ ეს ასეა, ამიტომაც დაგვსაჯა ღმერთმა ასე სასტიკათ და წაგვართვა ის ძვირფასი საუნჯე, რომლის მოხმარება ჩვენ ვერ შევიძელით, ჩვენის უმეცრებისა გამო. მაგრამ, შენ ხომ, შენი საწყალი ბახველების აზრით, უკვდავი არსება იყავი და ვინ წარმოიდგენდა, რომ სიკვდილი შენ შეგეხებოდა! შენს ბახველებს დღესაც არ სჯერათ ეს საშინელი თავზარ-დამცემი ამბავი, ჩვენში ვერავინ ახსენებს ერთად ამ ორს ყოვლად მოუწყობელს, ყოვლად შეუფერებელს სიტყვებს—„გაბრიელი და სიკვდილი“. ეს ორი სიტყვა არასოდეს არ მოთავსდება ერთად ჩვენს წარმოდგენილობაში. ჩვენი ბრწყინვალე გაბრიელი, ჩვენი ანგელოზი და სიკვდილი.—ეს ხომ საშინელებაა, თავზარ-დამცემია, გამაქვავებელია!! ჩვენი ყოფნა და შენი არ ყოფნა, ჩვენი უშენობა საშინელია, აუტანელია! უზომოა და გამოუთქმელი ჩვენი მწუხარება, მაგრამ რამდენადაც ეს მწუხარება დიდია, იმდენად სანუგეშებელი საბუთიც ჩვენ სხვაზე მეტი მოგვეპოვება ამ საერთო უბედურებაში. ჩვენ სხვაზე მეტათ ნუგეშცემული ამ შემთხვევაში მითი ვართ, რომ შენ ხარ ჩვენი საწყალი სოფლის შვილი, ჩვენი ბატონი გაბრიელი, ჩვენი საუნჯე, ჩვენი დიდება; ჩვენ თვით ამ უბედურებაშიაც ბედნიერნი ვართ მით, რომ შენს დიდებულ უკვდავ სახელთან ჩვენი საწყალი სოფლის სახელიც უკვდავი ხდება; ამით ვიამაყებთ ჩვენ და ჩვენი მომავალი შთამომავლობა, რომელიც, რასაკვირველია, ჩვენზე უფრო შეიძლებს შენს დაფასებას, ჩვენი სოფლის უკვდავო და დიდებულო შვილო.

ბახველი გლეხი იოსებ გორდელაძე.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ინგლისის გაზეთები ბევრს სწერენ სუდანის ექსპედიციის შესახებ, მაგრამ ნამდვილი აზრი-კი ამ ექსპედიციისა მათ არ იციან. „დაილი ნიუს“-ი ამბობს: „როგორც კერზონის პასუხიდამ სჩანს, საფრანგეთის მთავრობას ყველაფერი შეტყობილი ჰქონდა ვადი-გაფის ლაშქრობისა და მის „ნამდვილ მიზეზთა“ შესახებაო. თუ საქმე ესე იყო, საფრანგეთის მთავრობას უფრო მეტი სცოდნია, ვიდრე ბრიტანიის საზოგადოებას. მაგრამ მართალია განა, რომ საფრანგეთის მთავრობას „ნამდვილი მიზეზები“ შეტყობილი ჰქონდა? როგორც ბერტლოს მოხსენებიდამა სჩანს, რომელიც მან საფრანგეთის პარლამენტში წაიკითხა, ეს ასე არ ყოფილა... საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სთქვა, თურმე, რომ იგი ამ საქმის შესახებ ინგლისისაგან დაწვრილებითს ცნობებს მოითხოვს. იმედია, მინისტრი მიიღებს ამ ცნობებს და ამასთან ერთად ლორდი სოლსბერი ცოტათი მაინც არის გააცნობს ამ საქმეს ბრიტანიის პარლამენტს“. რადგანაც საქმე ასე დაფარულია, აქ ყურადღების ღირსია ჩარლზ დილკის აზრი, თუ ექსპედიციას რა მიზანი აქვს. ეს აზრი ჩარლზ დილკს „ფიგაროს“ ლონდონელ კორესპონდენტისათვის უთქვამს. რადიკალთა დეპუტატის სიტყვით, ბრიტანიის მთავრობის განზრახვა თავდაპირველად სრულიადაც ის არ ყოფილა, რაიცა კერზონისა და ბალფურის სიტყვებში იყო მოხსენებული და აზრად ჰქონდა უთუოდ სუდანის დაპყრობა. მაინც დილკის აზრი ის არის, რომ მთავრობა თავისს პირველს გეგმას გამოსცვლის... „მინისტრებმაო,—სწერს იგი,—ნათლად დაინახეს წარსულს ორშაბათს, რომ თვით კონსერვატორნიც-კი წინააღმდეგნი არიან სუდანის მეორედ დაპყრობისა, რადგანაც ეს ძალიან გაუძვირდებათო. ამისათვის, ჩემის აზრით, მთავრობა უთუოდ ეცდება ექსპედიციის აზრი შეამციროსო“. მაგრამ, ჩარლზ დილკის სიტყვით, თუ რომ ეს ცდა ამ ჟამად ვერ დაგვირგვინდა სასურველად, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ საახალშენო პოლიტიკის მომხრენი სუდანის დაპყრობაზე უარს იტყვიანო. თუ რომ ეგვიპტიდამ ვერ მოახერხეს გალაშქრება, მაშინ ეცდებიან სამხრეთიდამ დაიწყონ საქმეო—უგანდის მხარედამ. „ახლაო,—სთქვა რადიკალთა დეპუტატმა,—საჭიროა რაც შეიძლება კარგად ვადევნოთ თვალი ინგლისელების უგანდაში მოქმედებასო“.

**სუდანი.** ქაირიდამ იუწყებიან, რომ მაჰ[...]ის, რომელიც სუდანელებს ახალ წინასწ[...]რმეტყველად მიაჩნიათ, გამოუცხადები[...] ომი. ეს ომი სარწმუნოებრივიაო, რადგან ეგვიპტე ურწმუნოებმა (ვითომ ის[...]ტიისელებმა) შეაცდინეს და იმიტომ ა[...]ტეხა ბრძოლაო. ყველა მამაკაცი, რომელიც 18 წლ. მეტი არის და 60-[...]აკლები მოწოდებულ იქმნებიან წინასწა[...]ტყველის მწვანე დროშის ქვეშ. ამბ[...]ბენ-კი რომ დერვიშთა შორის უწესოებააო. ამბობენ, რომ ოსმან დიგმა კასსალას დასტოვებს და დონგოლაში შეუერთდება მაჰდი სჯარებს.

## ეგვიპტე.

### III *)

ეგვიპტის სახელმწიფო წყობილების საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ 1840 წლ. ლონდონის ხელ-შეკრულობა. ამაზედ ხელი უწერიათ ავსტრიას, პრუსიას, ინგლისს, რუსეთს და ოსმალეთის მთავრობისაგან არის დამტკიცებული. ამ ხელშეკრულობის ძალით: 1) ეგვიპტის შინაგან საქმეთა განაგებს ნაიბი, ხოლო „სულთანის სახელით“-კი. 2) ჯარი და ფლოტი ეგვიპტისა ითვლება ოსმალეთის შეიარაღებული ძალების ნაწილად. 3) ეგვიპტე იხდის ოსმალეთის სასარგებლოდ ხარჯს. 4) ეგვიპტის ნაიბს შეუძლია იქონიოს დამოკიდებულება სხვა სახელმწიფოებთან მხოლოდ კონსტანტინეპოლის მთავრობის შუამავლობით, ოსმალეთის მთავრობისაგან ხელ მოწერილი ხელშეკრულობა სავალდებულოა ნაიბისათვის. მერე ეს უკანასკნელი მუხლი შეიცვალა, რადგან ნაიბს მიეცა სავაჭრო ხელ-შეკრულობაზედ ხელის მოწერის ნება ოსმალეთის მთავრობის დაუკითხავად. ეგვიპტის ავტონომია შინაგან საქმეებშიაც შეზღუდულია, როგორც ყველა აღმოსავლეთის სახელმწიფოების, რადგანაც ადგილობრივ სასამართლოს არა აქვს [...] ნება გაარჩიოს უცხოელთა საქმეები. ეს მინდობილი აქვს კონსულთა სამართალს. გარდა ამისა ინგლისს მეტად დიდი გავლენა აქვს შინაგან საქმეებზედ. ნაიბი მართავს და განაგებს სამეფოს სამინისტროს შემწეობით. 1883 წ. ნაიბმა კონსტიტუცია გამოაცხადა. წარმომადგენელთა დაწესებულებათა ზოგიერთი წევრები ირჩევიან ხალხის კენჭის ყრით. კანონმდებლობითი უფლება ეკუთვნის 1) კანონმდებელს საბჭოს, 2) საზოგადო კრებას. არ შეიძლება არავითა[...] ახალ-გარდასახადის შემოღება, თუ სა[...]ადო კრებამ თანხმობა არ განაცხადა. [...]ხვა საქმეებში-კი საზოგადო კრებას შეუძლია მხოლოდ რჩევა მისცეს მთა[...]ობას, მისი აზრი არავისთვის სავალ[...]ებულო არ არის.

კანონმდებელის საბჭოს 1[...] ღვერს ნიშნავს მთავრობა, 16-ს კი [...]ს 6-ის წლის ვადით ხალხი. საზოგადო კრებაში მონაწილეობას იღებენ კანონმდებელი საბჭო, მინისტრები და ამორჩეულნი დიდებულნი, ამორჩევის უფლება აქვთ მხოლოდ მდიდარ მოქალაქეებს. ყოველი კანონი, რომელსაც ნაიბი გამოსცემს, უსათუოდ მთავარ-მინისტრის ხელ-მოწერილი უნდა იყოს.

ეგვიპტე ადმინისტრატიულად შემდეგ ნაწილებად იყოფება: 1) ქვედა-ეგვიპტე შესდგება ოთხი უმთავრესი ქალაქიდამ (ქაირი, ალექსანდრია, როზეტა და დამიეტა) და ექვსი პროვინციიდამ; 2) სუეცის ნაპირები (სუეცი და პორტ-სანდი), 3) აზიის სამფლობელონი (ელ-არიში) და 4) რამდენიმე ადგილი ლივიის უდაბნოში.

ოფიციალურ ენად არაბული ენა ითვლება. ეგვიპტის ჯარი ეხლა შესდგება 13.000 კაციდამ. მაგრამ ერთი ხეირიანი სამხედრო გემიც არ ჰყავთ. სასამართლო ნაიბის დამოკიდებულებაშია. 1876-დამ უწინდელი კონსულთა სასამართლოს მაგიერ ახალი სასამართლო დააწესეს. ამ სასამართლოში პირველ

*) იხ. „ივერია“ № 61.

---

ზიდვას უბრალო მუშები არ სჯერდებიან, შეულს და ქაფჩას ხელს ჰკიდებენ და კალატოზობას ჩემულობენ. მაშ, რასაკვირველია, რომ იმათი ნაცოდილარი ცარიელი ხუხულა გამოდის. და როდესაც ამ ხუხულას ვინმე წკიპურტს ჰკრავს და დაფუშავს, მოჰყვებიან ყვირილს—«დიდება შენს ბუმბერაზობას, იუპიტეროო“!..... მე ლიტერატურის ზრდა არ განმიმარტავს, არ გამომირკვევია, „მე მხოლოდ ისა ვსთქვი, რომ ჩვენი ახალი ლიტერატურა ნელ-ნელა გაიზარდა“, „მე აღვნიშნე მხოლოდ ფაქტიო“,—გრ. ყიფშიძე ასე ბრძანებს მასლაათის შემდეგ. მაგრამ სწორედ იგი განმარტება და გამორკვევა იყო საჭირო, თორემ, თქვე გასაზრდელნო, აბა რა აღნიშვნა უნდა იმ ამბავს, რომელიც ცხადზედ უცხადესია!? ხუხულას აშენება აი სწორედ ეგ ბავშური ცოდილობაა და, სხვათა შორის, მასლაათიც ამ ცოდილობამ გამოიწვია. ამაოდ იმართლებთ თავს, რომ ლიტერატურის ზრდის განმარტება და გამორკვევა საგნად არა მქონიაო,—მაშ რა არის ეს ათეულთა თეორია, ეს გაბმული წერა ძველ და ახალ პოეტთა და ბელეტრისტთა მიმართულებაზედ, იმათ სხვა-და-სხვაობაზედ, ხასიათზედ?! აშკარაა, „მოამბის“ არა-მკითხე ფილოსოფოსს თითონვე შერცხვენია, რომ მართლა ხუხულას ვაშენებთ და ბოდიშს იხდის. მიზეზიც ეს არის, რომ გრ. ყიფშიძეს უკუ უგდია ათეულთა თეორია და საპოლემიკო ხიფათის თავიდაასაცდენად პირი უბრუნია საგნისამთვის—«დროსა და სივრცის გარეშე არა არის-რა და არც არა განისაზღვრება-რაო». მოჰყოლია მერე და ქსელივით წვრილი და გრძელი ბაასი გაუჭიანურებია დროთა და ჟამთა მნიშვნელობაზედ. დიაღ, ქრისტეს მიერ ძმანო დროსა და ჟამს დიდი მნიშვნელობა აქვს. ქვეყნის დაბადებიდამ დაწყებული ქრისტეს შობამდე და ქრისტეს შობიდამ აქამომდე ყოველიფერი დროზეა დამოკიდებული. და აღსანიშნავი კიდევ ის არის, რომ აზრთა და იდეათა მიმდინარეობაზედ გავლენა აქვს დროის თვითეულს ნაწილს—საუკუნეს, ნახევარ საუკუნეს, საუკუნის მესამედს და მეოთხედს, წელს, თვეს, კვირას, დღეს, საათს, წამს და წუთს... და ვინ იცის, იქნება იმ წუთს, როცა ამ სტრიქონს ვსწერ, რა ახალი საქვეყნო აზრი და იდეა იბადება «მოამბის“ სალიტერატურო და საშინაო მიმომხილველთა გოგრაში!?.. ხუმრობა გაშვებით, გრ. ყიფშიძე ვაითა და ხვნეშით ამტკიცებს, რომ ყოველ დროს თავისი ხასიათი და მიმართულება აქვს და ლიტერატურა დროთა ვითარებას ექვემდებარებაო, ყოველივე ცვალებადია და წარმავალიო, თითქო ყოველივე ეს და სხვა ამგვარი ტიტინი ვისთვისმე საჭირო იყვეს. მერე მისდგომია და მაგალითები მოჰყავს—ეს თამარ მეფისა და რუსთაველის დროა, ის ნინოშვილისაო და სხ... მხოლოდ ერთი დიაღ შესანიშნავი და ბრწყინვალე დრო-კი დავიწყებია—საგიგაო დრო, რომლის განმარტება და გამორკვევა მართლაც-და საინტერესო იქნებოდა. ამოდენი შრომა და ჯაფა იმიტომ გაუწევია, რომ დაამტკიცოს—ათეულსაც, ათს წელიწადსაც მნიშვნელობა აქვს ლიტერატურისთვისაო. სწორედ რომ აქვს. ასეთი მნიშვნელობა ხომ დროის თვითეულს ნაწილსაც აქვს და ამიტომაც მოგახსენეთ—„სალიტერატურო ზრდა უნდა განისაზღვროს გარეგნობითა და წლობით კი არა, არამედ შინაარსისა და მიმართულების სხვა-და-სხვაობით“. თუ ასე არ მოვიქეცით, მაშ რა აღდგომის წითელი კვერცხია თქვენი ათეული?!.

კიდევ მადლობა ცეზას და ლიტერატურის მეუფესა, რომ ბ-ნი გრიგოლ ყიფშიძე მარტივად და მდაბიოდ მოძღვრობდეს, მაგრამ ასე როდია. ძალად—ფილოსოფოსისათვის პირველი მნიშვნელობა ყოველთვის მაღალ ფრაზების რახა-რუხსა ჰქონია და ბ-ნი გრიგოლიც აზრის სიღატაკეს ამ რახა-რუხით ჰმალავს. სად შემიძლიან იმის მოძღვრების მოკლედ გარდმოცემა, დედა-აზრთა გადმოღება. მე ხომ უბრალო მემასლაათე ვარ და ზემოდ ხსენებულმა ჟურნალ „ივერიის“ კრიტიკოსმაც-კი, კაცმა ღრმად განათლებულმა და განვითარებულმა, ვერ დასძლია ეს დაბრკოლება და მწუხარებით აღიარა: „სწორე გითხრა, მკითხველო, მე საშინლად მეძნელება ამ წერილის შინაარსის გადმოცემა, მისი რამდენიმე სიტყვით გამოხატვა; ეს ისეთი გასაოცი სიტყვების—და მერე რა სიტყვების!—ხროვაა, რომ მათის დედა აზრის ხელში ჩაგდება საშინელს სიძნელეს წარმოადგენს. ხომ გახსოვთ მოლიერის „ძალად ექიმში“ ის ორი ფილოსოფოსნი, რომელთაც ყოველ სიტყვას პასუხად ასობით აყრიან ლათინურს, ბერძნულ, ებრაულ ციტატებს;—ისე ბ. ყიფშიძე: სიტყვას ვერ იტყვის, რომ თან ან ორიოდე ლათინური ანდაზა, ან ღრმა ფილოსოფოსური ეპიტეტები ზედ არ დააბერტყოს... და როგორც იქ ფილოსოფოსთა მსმენელი ვერას იგებს იმათ ბოდვიდგან, ისე აქ მკითხველი პირ-ღია რჩება ამ ზარდამცემის სიტყვების ქუხილისაგან, ლაწა-ლუწისაგანაო“... მოდი ახლა და უკან სდიე ამგვარ მოკამათესა!

არა-მკითხე ფილოსოფოსის ტიტინს ბოლომდე რომ მივყვე, ცოტა გაგრძელდება და მკითხველს, იქნება, კიდეც მობეზრდა მასლაათი... ზოგნი კიდეც მიკიჟინებენ—განა ღირს მაგათზე ტყვიაწამლის დახარჯვაო . . . შეიძლება, რომ ეს საყვედური მართალიც იყვეს. ბოლომდე არც მესიამოვნება მიყოლა, რადგანაც იქ ისეთი თვალ-მარგალიტებია, რომლის მსგავსი მხოლოდ „კალიუჩი ბალკაში“ თუ შეიძლება გასაღდეს. და ასეთის მარგალიტების შემდეგ მაინც სალიტერატურო ზნეობის სიწმინდეზედ ჰყვირიან!

Plebs.

ინსტანციაში 7 წევრია: 4 ევროპიელი და 3 ეგვიპტელი. აპელიაციის სასამართლოც არის ალექსანდრიაში, 11 მსაჯულია: 7 ევროპიელი და 4 ეგვიპტელი. ესენი არჩევენ დავას ეგვიპტელთა და ევროპიელთა შორის. ამ სასამართლოს ექვემდებარებიან ნაიბიცა და მინისტრებიც, თუ რაიმე დავა აუტყდათ ევროპიელებთან.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— უკანასკნელ პარისის გამოფ[illegible]ზე საკვირველი საჩვენებელი იყო [illegible]ედ წოდებული „ეიფელის კოშკი". [illegible] ამ კოშკმა დაანახვა ქვეყანას რამო[illegible]ად შესაძლოა ჰაერში მაღლა ასვლა [illegible]ობისა, ეხლა ფრანგები [illegible]00 გამოფენისათვის დაანაბი აპირობენ [illegible] რამოდენად ძირს ჩასვლა დედამიწაში [illegible] შესაძლოა: განუზრახავთ ამოთხარონ [illegible] სიღრმით ვერსტ-ნახევარი. პარისის [illegible]პუტატს პასკალ გრუსსეს წარუდგენია, საცა ჯერ არს, პროექტი ამისთანა ჭისა. ავტორი ამ პროექტისა ამბობს, რომ ეს დიდი და უშველებელი საქმე დააკმაყოფილებს არამც თუ მარტო უქმს ცნობის-მოყვარეობასა, არამედ დიდს სამეცნიერო საგანსაც ალგვიხსნის და მასთან დიდს სიკეთესაც მოიტანსო.

დამტკიცებული და გამოკვლეულია, რომ რამოდენადაც ძირს მიწაში ჩადის კაცი, იმოდენად სითბო ჰმატულობს და ამასთან მეტის-მეტად თანასწორ, ესე იგი, ყოველს ოცდაცამეტს ადლზე თითო გრადუსი სითბო ემატება. გრუსსე-კი ეჭვობს ამას და ამბობს, რომ ამ მატებას საზღვარი აქვსო, არის იმისთანა სიღრმე, რომლის ქვეითაც სითბო აღარ მატულობსო. თუ ეს მართალი გამოდგა, მაშინ შესაძლოა სულ ძირს და ძირს წავიდეს კაცი, შეტყობილ იქმნას გადაწყვეტილად რას წარმოადგენს დედამიწის შინაგანი და ამ გზით აიხსნას მეცნიერებისათვის საიდუმლოება შიდა დედა-მიწის შედგენილობისა. პროექტით ჭა, განზრახული გრუსსეს მიერ, ისე იქმნება გაკეთებული, რომ კაცმა ისიამოვნოს კიდეც და გამოიყენოს კიდეც. ჩასასვლელი ექნება თანდათანი ჩასაყვან და ამოსაყვან მანქანებით, გზა და გზა სასვენი ადგილები იქნება, ელექტრონით განათებული და წმინდა ჰაერის სამუშავებლად ექნება შესაფერი მომართულობა, თვალთა გასართობად ზოგან ჩრდილო ქვეყნის ლანდშაფტები მოეჩვენება გაოცებულს მაყურებელს, ხელქმნილ ყინულებით მორთული, ზოგან აქა-იქ მორიგებული მადნები და სხვა ამისთანა. ანგარიშით, ეს საქმე დაჯდება თორმეტ ან ხუთმეტ მილლიონად. ხოლო ეს ფული უქმად არ იქნება გადაყრილი: ჯერ რომ დიდი წილი ამ ფულისა უკანვე დაბრუნდება, რადგანაც აურაცხელი მსურველი ჭაში ჩასვლის-ამოსვლისა მიაწყდება და მერე პარისისათვის ჭა ისეთს წმინდა და მშვენიერს წყალს მისცემს, რომ უკეთესი აღარ ინატრებაო. (პ. ი ლ.)

— გამოუანგარიშებიათ რამ სიგძეა ტელეგრაფის ლარი მთელს ქვეყნიერობაზე და გამოსულა, რომ 1892 წ. სიგძე ამ ლარისა ყოფილა 1,294,831 კილომეტრი. აქედამ ევროპას ჰქონია 487,884 კილომეტრი, აზიას—123,715, ამერიკას—567,369, ავსტრალიას—76,060, და აფრიკას—39,803. სახელმწიფოთა შორის ყველაზე მეტია ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში, აქ 340,000 კილომეტრია, მას მოსდევს მერე რუსეთი — 126,474, მერე გერმანია—117,872, საფრანგეთი—96,125, ინგლისი—54,029, ავსტრო-ვენგრია—48,925, იტალია 40,074, ოსმალეთი—32,820, ისპანია—28,701, შვეცია—8,707, ნორვეგია—7,863, ბულგარია—7820, საბერძნეთი—7651, შვეიცარია—7271, პორტუგალია—6,830, რუმინია—5638, ნიდერლანდია—5468, დანია—4603, სერბია—2978 და ლუქსენბურგი—420.

— შარშან ჩინეთის გაზეთები იწერებოდნენ, რომ ჩინურმა ქალებმა შეადგინეს მთელი „ლეგიონი მეომარ ქალებისა" იაპონელებთან საბრძოლველადაო. ერთი ჩინელი გენერალი სახელად სა-ხო-ლი იაპონელებს მოეკლათ ომში და ამ გენერლის ქვრივს ქმრის სისხლის ასაღებად შეუყრია მთელი ჯარი ქალებისა რიცხვით სამი ათასი, უფრო მანჯურელი ქალები, რადგანაც ჩინელი ქალი ჩვეულებისამებრ ფეხს [illegible]ე განგებ იპატარავებს, რომ სიარული უძნელდება. არ ვიცით რა იქმნა ეს [illegible]რი, ხოლო პეკინის გაზეთებს დიდი იმედი ჰქონდათ ამ ქალთა-ჯარისა და ამბობდნენ, რომ იაპონელები ამათ ომს [illegible] გაუსწორებენ და შიშით კანკალი [illegible]უვათო. რამოდენად გაუმართლა ეს [illegible]დი ჩინელებს ქალთა-ჯარმა—არ ვიცით. ხოლო ეს-კი ნამდვილია, რომ ამისთანავე ჯარი ყოფილა შემდგარი იაპონიაშიაც 1876 წ., როცა იაპონიის იმპერატორს აუჯანყდა ხალხი. ამ ქალთა-ჯარს, რომელსაც აჯანყებულთა მხარე სჭერია, ასეთი თავ-გამეტებული ვაჟკაცობა გამოუჩენიათ, რომ არა ერთხელ გაუქცევიათ იმპერატორის ჯარი. ეს ქალები აჯანყებულთა ცოლები ყოფილან, დიდი ჯარი შეუდგენიათ და ყოველის სამამაცო და საომარ ზნით გაწურთვნილნი და შემკულნი იყვნენ თურმე. იაპონიის ქალები ანებებდნენ თავს სახლს-კარსა, ოჯახს და ერთი მეორეს ასწრობდა ჯარში ჩამდგარიყო, საომარი ზნე ესწავლა და აჯანყებულთათვის ამ გზით ეშველნა. მნახველნი ამბობენ, რომ 1876 წ. აჯანყების დროს ამ ქალთა-ჯარმა ისეთი მამაცობა გამოიჩინაო, რომ დღესაც იაპონელები ქებით იხსენიებენ ამათ საოცარ საქმეებსაო. (პ. ი ლ.).

## წერილი რედაქციის მიმართ.

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ჩვენის საზოგადოების მაგიერ ჟურნალ „მოამბის" რედაქტორს, რომელმაც დაუთმო ჩვენს სამკითხველოს მთელი შარშანდელის წლის „მოამბე" ხუთ მანეთად და აგრეთვე მათ, ვინც კეთილ-ინება და შემოსწირა შემდეგი წიგნები: ზ. რ. ჩუბინაშვილმა თორმეტი წიგნი დოსტოევსკისა, გ. დ. თოიძემ სამი წიგნი: როსტომ მეფე, დ. გ.-ისა, სვიმონ მეფე, მისივე, უცხოეთის მწერლები—პრუდონი, გ. დ. თოიძისა და პავლე ცალაიქაშვილმა თვრამეტი წიგნი: აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, დმიტრეს სახლობა, ს. მგალ., ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა, პატარა მოთხრობა თ. გ—სა; ლექსნი კნ. ნინო ორბელიანისა, აკალდამები, თარგმანი ან. და მგ. ნიკოლაძის ქალებისაგან, ბნელო, მოთხ. მელანიასი, დედაკაცის ხვედრი, თარგმ. ი. რამიშვილისა, მამიდა, ანტ. ფურცელაძისა, მწირი, გ. აბაშიძის თარგმანი, თხზულებანი თ. ხუსკივაძისა, მეველე, ს. მგალობლიშვილისა, თავადი იერონიმე, მისივე, გმირისეულის ქალი, მისივე, საქართველოს შესახებ, ლექსები ნ. ბარათაშვილისა, იანკოს ცხოვრება, გ. დიდებულიძისა, საზოგადო ზოოტექნია, მ. ზაალიშვილისა.

გამგე მეჯრუხევის წიგნთ-საცავისა ეკატერინა გიორგის ასული კნ. ერისთავისა.

1896 წ. 10 მარტი.

## საქართველოს თავადნი.

თავადნი თავდგირიძენი. 6 დეკემბერს 1850 წ. უმაღლესად დამტკიცებულს გურიის თავადთა საოჯახო სიაში აღნიშნულნი არიან თავადნი თავდგირიძენი: 1) პოდპორუჩიკი ალექსანდრე მამუკას ძე, ცოლი მისი სოფიო, შვილნი მათნი: მიხაკ და მარგარიტა; 2) ასულნი გიორგი მამუკას ძისა: მზეხა, ატატო და ელისაბედი; 3) პრაპორჩშიკი ფრიდონ მამუკას ძე და ცოლი მისი ტატია; 4) პრაპორშჩიკი ყარამან მიზარბის ძე და ცოლი მისი მარიამ; 5) გიორგი და ფოკა მიზარბეგის ძენი; 6) ანნა მიზარბეგის ასული; 7) ქვრივი სოლომონ მამუკას ძისა—მზეხა, შვილნი მათნი: ქიშვარდი, ლევან, ავთანდილ და აღათია; 8) ქვრივი ბეჟან როსტომის ძისა—აღათია და შვილნი მათნი: როსტომ და ელისაბედი და 9) ქვრივი გიორგი როსტომის ძისა—დოდო და შვილი მათი ბესო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

16 მარტი.

**პეტერბურგი.** მოსკოვს წაბრძანდნენ დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ, საიმპერატორო სასახლის მინისტრი და სასახლეთა კომენდანტი.

**პეტერბურგი.** მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა ზახარინმა გაუგზავნა უწმ. სინოდის ობერ პროკურორს 500,000 მანათი სამრევლო სკოლების სასარგებლოდ.

სახელმწიფო საბჭოში მალე გაირჩევა შავი ზღვის ნაპირის ოლქის ადმინისტრატიულის მოწყობის საქმე.

**პარიზი.** პარლამენტი შემოსავალზე პროგრესიულის გარდასახადის პროექტს არჩევს. ბურჟუამ მოიწონა რონის მიერ წარდგენილი ფორმულა. ფორმულის პირველი ნაწილი მიღებულ იქმნა 297 ხმით წინაალმდეგ 249. შემდეგ მთელი ფორმულა იქმნა მიღებული 286 ხმით წინაალმდეგ 270.

**ვენა.** 14 მარტს გამოვლით ბრძანდებოდა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული.

**კონსტანტინოპოლი.** 14 მარტს საგანგებო მატარებლით ჩამოვიდა ბულგარიის მთავარი ფერდინანდი, თან მოჰყვნენ სტოილოვი, პეტროვი და სამხედრო ამალა. სადგურზე მიეგებნენ ოსმალეთის წარჩინებულნი მოხელენი, შაქირ-ფაშა, ბულგარიის კოლონია და სხვანი. ფერდინანდი პირდაპირ ილდის-კიოსკში წავიდა. სულთანთან აუდენცია გაგრძელდა ნახევარ საათს.

**კონსტანტინოპოლი.** სულთანის შვილმა პრინცმა ახმედ-ეფენდიმ ჩააბარა პრინცს ფერდინანდს ბრილიანტის ნიშნები ორდენის „იმთიაზ".

**ლონდონი.** „ტაიმს"-ს ატყობინებენ ქაირიდამ: ეგვიპტის ვალის გამგეობას რუსეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა გამოუცხადეს, რომ თანხის გადადება უკანონოა, რადგანაც ეს მათ დაუსწრებლად გარდასწყდა და მოითხოვეს ვადის გაგრძელება.

ეგვიპტის მთავრობამ სულთანს შეატყობინა, რომ მას ინგლისთან შეთანხმების შემდეგ განზრახვა აქვს უკანვე დაიბრუნოს ძვირფასი ტერიტორია, რომელიც აჯანყებისა გამო დაჰკარგა. აქედამ სჩანს, რომ ეგვიპტის ექსპედიციის მიზანია—დაიპყროს სუდანი.

პეტერბურგის ბირჟა, 15 მარტი.

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო. | 7,60 | — „ | — „ |
| 5% მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 216 3/4 |
| 4 1/2% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . | — „ | — „ | 100 3/8 |
| 4% იმავე ბანკისა . | — „ | 97 3/4 | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 100 1/2 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99 1/2 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | — „ | — „ | 99 5/8 |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 1/4 | — „ | — „ |


# განცხადებანი

სამზღვარ გარეთიდამ დაბრუნებული

უ მ ა წ ვ ი ლ ი კ ა ც ი

ილებს ფრანგულ და ლათინურ ენის გაკვეთილებს.

ადრესი: ქართველთა ამხანაგობის პავილიონში. 3—1

ახალი წიგნები.

ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოების წიგნთ-საცავში შემდეგი გამოცემანი ზ. ჭიჭინაძისა:

ლუკმა პურის ამბავი, ანუ აღწერა კაცის აგებულებისა, თხზულება მასესი, თარგმანი ნ. ავალიშვილის მიერ. ფასი . . 60 კ.

ბავშვების მოვლა, კომბისა, თარგმანი ვასილი მაჩაბლის მიერ ფასი . . . . . . . . . . . 40 კ.

მაცისვიტია, რომანი ანტ. ფურცელაძისა ფასი . . . . 40 კ.

აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, ზ.—ჭ—სა ფასი . . 15 კ.

ლექსნი თქმული მ. ბოჭორიძისა, ფასი . . . . . . . 5 კ.

10—7

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნი

მოწაფის დღიური

თხზულება ედმონდ დე-ამიჩისა.

ნათარგმნი ი. ცისკარაშვილის მიერ.

გამოცემული ნინო ცისკარაშვილისაგან.

წიგნი ღირს ოთხ აბაზად და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.

# მაღაზია ძმათა გუდიშვილებისა

(ჯოკანისეული) ვარანცოვის ძეგლთან.

მომავალ დღესასწაულისათვის პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოდ

მომზადებულია საუკეთესო თვისების შტემპელ-დაკრული ლორი და ყოველნაირი ახალი ხორაგეულობა. მივიღეთ საუკეთესო პასკისათვის ფქვილი და შესაზავებელი მასალა შმიდტისა და სოლოდოვისა. გვაქვს თუშური ყველი და აგრეთვე გოლანდიის, შვეიცარიის და ლიტვის ყველი, ახალი ქიტკა, ხიზილალა, შპროტი, სარდინკები და სხვა ხორაგეულობა. ეკრიმული, რუსული სასმელები და ნამდვილი კახური ღვინო.

მსურველთ შეუძლიანთ ადრევე შემოგვიკვეთონ შეწვა, მოხარშვა ლორისა, ინდოურისა, გოჭისა და ბატკნისა.

ყველა საქონელი პიროვან ფასად არის.

მაღაზიის მეორე განყოფილება იმყოფება ნავთლუღში, ბირჟის მოედანზედ, სარაჯოვის სახლში.

ძმანი გუდიშვილნი.

(2—1)

ოქროს ბეჭედი




კვერცხების საღებავი

ფერადს ბზიალა ქაღალდზე

# განცხადება

სავაჭრო სახლისა ,,ძმათა ბაბიჩევთა და ამხ." ოდესაში.

ჩვენის საღებავის შეცვლისა გამო სხვა-და-სხვათაგან სააღდგომო კვერცხების შესაღებად, საღებავისა, რომელიც ჩვენის ეტიკეტითა და ჩვენის ფირმის სახელით არის, ამ წლიდამ გარდავწყვიტეთ საღებავი ზემოდ ნაჩვენების ახალის ეტიკეტით იყოს, პაკეტზე 5 კ., ხოლო თეთრს ქაღალდზედ ამავე ეტიკეტით 3 კ. პაკეტზედ, რასაც ვაუწყებთ ჩვენის საღებავის მხმარებელთ.

ვმადლობთ რა გულწრფელად მხმარებელთ ჩვენის საღებავისა, დავშთებით მათი პატივის-მცემელნი და მუდამ მზანი მათის სამსახურისათვის ძმანი ბაბიჩევნი და ამხ.

ადრესი წერილებისათვის: ძმანი ბაბიჩევნი და ამხ.

„ დეპეშებისათვის: ბაბიჩევებს ოდესაში. (3—29—2).


Дозволено цензурою, Тифлисъ 16-го Марта 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.